საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დანახვისი

დანახვისი, წმ. გიორგის ეკლესია ქართლში, ატენის ხეობაში.

ამ ეკლესიაზე ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ცნობით: „დანახვისი დგას მაღალს მთასა ზედა, ეკლესია წმიდის გიორგისა, მჭურეტი ქართლისა". ეკლესია თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით, დარბაზულია (6 მ×3,6 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად ჩამონგრეულია კამარა და კონქი, ჩამორეცხილია შელესილობა. სამხრეთიდან აქვს გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი.

ნალისებრი აფსიდის ღერძზე არის შიგნიდან თაღოვანი და გარედან ოთხკუთხა სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. ერთი ოთხკუთხა სარკმელი სამხრ. კედლის ზედა ნაწილშიცაა. ეკლესიას სამხრ-იდან, მთელ სიგრძეზე, ეკვრის მინაშენი, რ-საც კამარა მთლიანად ჩამოქცეული აქვს.

ეკლესიას სამხრ-ით და აღმ-ით მცირე ზომის ბაქანი აქვს. დას. ფასადზე კედლის გასამაგრებლად მიშენებულია ოვალური კონტრფორსი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

ზ. ცინცაძე